

3D კლე

ჩემი სახლი



სსპაღასსპა აპეჟი

სსპაღასსპა

აპეჟი

3D პლ არქიტექტურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია ნაგებობის ბუნებასთან მისადაგება, გარე სამყაროსთან ჰარმონია და კონტექსტის გათვალისწინება, რაზედაც მეტწილად ექსტერიერის დიზაინია პასუხისმგებელი. სწორედ ის განსაზღვრავს არქიტექტურულ სტილს, შენობის ფორმას, მოცულობას, პროპორციებს, მასშტაბს და გარეგნულ მახასიათებლებს. ობიექტის პროექტირება აუცილებლად უნდა მოხდეს ლანდშაფტის, გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული

მისაღები ოთახი სამინებელი ოთახი

დააკლიკეთ
სურათზე

დააკლიკეთ
სურათზე

ევროპული ბრენდები და განსხვავებული...

სამინებელი ოთახის ავეჯი უნდა ქმნიდეს...


სასაუზმე ოთახი სამუშაო ოთახი

დააკლიკეთ
სურათზე

დააკლიკეთ
სურათზე

საუზმე ოთახში კარგი იდეაა...

შრომისმოყვარე ადამიანები ყველაფერს აკეთებენ...



მისაღები ოთახი



ყველაზე ამაყი და თავდაჯერებული

ყველაზე ამაყი და თავდაჯერებული: ზოდიაქოს ხუთი ნიშანი, რომლებსაც ასე ხშირად ქედმაღლობაში ადანაშაულებენ.

ასტროლოგიაში ზღვარი საკუთარი თავის რწმენასა და ამპარტავნებას შორის ხშირად უმნიშვნელოა. ზოგჯერ ადამიანის შინაგანი ძალა და სიმტკიცე გარშემომყოფებმა შეიძლება სიცივედ ან ზემო-

დან ყურებად აღიქვან.

3D კლ წარმოგიდგენთ ზოდიაქოს იმ 5 ნიშანს, რომელთა ხასიათის სიმტკიცე ყველაზე ხშირად ხდება განხილვის საგანი

ლომები დაბადებიდან ყურადღების ცენტრში ყოფნისთვის არიან შექმნილნი და ეს მათი ბუნებრივი მდგომარეობაა. თუმცა, როცა ისინი ში-

ნაგან ბალანსს კარგავენ, უჩნდებათ განცდა, რომ სხვებზე მეტ აღიარებას იმსახურებენ. ასეთ დროს ჩნდება კრიტიკისადმი მტკივნეული დამოკიდებულება და საკუთარი განსაკუთრებულობის გადაჭარბებული განცდა. რეალურად კი, ამ გარეგნული თავდაჯერების მიღმა ხშირად სათუთი ბუნება იმალება, რომელსაც ისინი საგულდაგულოდ ნიღბავენ.





საძინებელი ოთახი

ზოდიაქოს 4 ნიშანი, რომელმაც სხვების გამო თავგანწირვაზე უარი უნდა თქვას

ზოდიაქოს 4 ნიშანი, რომელმაც სხვების გამო თავგანწირვაზე უარი უნდა თქვას

“მუდმივად სხვებზე ვფიქრობ... თუ ვინმე ცუდად არის, მირჩევნია მას დავეხმარო, ვიდრე საკუთარ პრობლემებს მივხედო” - თუ ამ სიტყვებში საკუთარი თავი ამოიცანით, მაშინ ეს სტატია თქვენთვისაა. დადგა დრო, სხვებზე ზრუნვა ცოტა ხნით გვერდზე გადადოთ და საკუთარი თავისთვის ცხოვრება დაიწყეთ.

ახლა ამას თავად ვარსკვლავებიც გვიჩვენებენ.

ასტროლოგიურ წრეში არსებობს ოთხი ნიშანი, რომლებიც მიჩვეულნი არიან საკუთარი ინტერესების მსხვერპლად შეწირვას, თუმცა სამყარო მიგვანიშნებს: “ჯანსაღი ეგოიზმი” ზოგჯერ საუკეთესო გამოსავალია.

3D კლე ნახეთ, რომელმა ნიშნებმა უნდა მოახდინონ საკუთარ თავზე კონცენტრირება:

კურო (20 აპრილი - 20 მაისი) კურო სიმშვიდის, გაწონასწორებულობისა და კომფორტის სიმბოლოა. ის ყოველთვის

ცდილობს, ეს კომფორტი ახლობლებსაც შეუქმნას. ხშირად კუროსთვის იმდენად მტკივნეულია სხვისი გასაჭირი, რომ საკუთარი საქმეები სრულიად ავიწყდება.

თუმცა, ასტროლოგები ამბობენ, რომ ურანი - პლანეტა, რომელიც ქაოსსა და რევოლუციებზეა პასუხისმგებელი - კუროების ღირებულებათა სისტემას შეცვლის. თქვენ ისწავლით “არას” თქმას ყველაფერზე, რაც დისკომფორტს გიქმნით და ბოლოს და ბოლოს საკუთარი სიმშვიდისთვის ცხოვრებას დაიწყებთ.



სასაუზო ოთახი

ზოდიაქოს ეს ნიშნები გაბრაზების დროს ყველაზე საშიში არიან: მათთან ხუმრობა არ ღირს

ზოდიაქოს ეს ნიშნები გაბრაზების დროს ყველაზე საშიში არიან: მათთან ხუმრობა არ ღირს

ასტროლოგია ამტკიცებს, რომ ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს ხასიათის უნიკალური შტრიხები გააჩნია, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გალიზიანების, იმედგაცრუების ან ბრაზის დროს ვლინდება. ასტროლოგების თქმით, სტიქია, მმართველი პლანეტისა და ნიშნის თვისებების ცოდნა გვეხმარება იმის წინასწარმეტყველებაში, თუ როგორ გამოხატავს ადამიანი ბრაზს

3D ჰელ აი, ის ნიშნები, რომლებიც რისხვას ყველაზე მძაფრად და საშიშად გამოხატავენ:

ვერძი

ვერძი ზოდიაქოს პირველი ნიშანია და ისინი ხშირად იმპულსურად, შედეგებზე დაფიქრებების გარეშე მოქმედებენ. წვრილმანმა პრობლემამაც კი შეიძლება ისინი წყობიდან გამოიყვანოს, თუმცა მათი ბრაზი ისევე სწრაფად ქრება, როგორც ჩნდება.

ცეცხლოვანი ბუნება მათ ემოციურ ცვალებადობას

ინტენსიურს ხდის. მარსის მიერ მართული ვერძი სავსეა ენერჯითა და მონდომებით. მასთან კამათი ნამდვილ ბრძოლას ჰგავს: ისინი პირდაპირები არიან და ემოციებს არ მალავენ. თავდაცვა და მკვეთრი რეაქცია მათი ბუნების ნაწილია, თუმცა მათ კონფლიქტების სწრაფად მოგვარებაც შეუძლიათ.

მორიელი

მორიელი გაბრაზება დათვთვთ შეხვედრას ჰგავს - შედეგები გარდაუვალია. როგორც წყლის ნიშანი, იგი ფლობს "შხამიან ნესტარს" და როდესაც მას მოთმინების ფიალა ევსება, საზღვრები აღარ არსებობს. განრისხებული მორიელი ყოველ ნაბიჯს გეგმავს და ხშირად შურისძიებისკენ არის მიდრეკილი, განსაკუთრებით უსამართლობის შემთხვევაში.

მას მარსი და პლუტონი მართავენ - მძვინვარე ნება და გამანადგურებელი ძალა. მორიელები ბრაზს არ მალავენ, რაც მათ ცუდ დღეზე ძალიან სახიფათოს ხდის. თუ მათთან კარგი ურთიერთობა გაქვთ, ბედნიერებაა, თუ არა - სჯობს ფრთხილად იყოთ.





სამუშაო ოთახი

აპლიკაცია **SilkGo** და ვიდეოპორტალი **Myvideo** გაერთიანდა.

პირველი ვიდეოპორტალი საქართველოში **Myvideo**, სატელევიზიო აპლიკაცია **SilkGo**-სთან გაერთიანდა. ორი პლატფორმის ინტეგრაციით (**Silk Go + MyVideo**), მომხმარებელს წვდომა აქვს ტელე არხებზე, ვიდეოებზე, ფილმებზე, სერიალებსა და გენერირებულ კონტენტზე. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია, როგორც აპლიკაციის, ისე ვებ ვერსიის გამოყენებით.

SilkGo 150-ზე მეტი ქართუ-

ლი და უცხოული არხით მაუწყებლობს, მათ შორისაა: შემეცნებითი, გასართობი, საინფორმაციო კინო და **Silk**-ის ბრენდის ქვეშ არსებული ყველა არხი. მათ შორის **Silk Sport**-ის არხები, სადაც მაყურებელს შესაძლებლობა აქვს, თვალი ადევნოს წამყვან სპორტულ ღონისძიებებს, ჩემპიონთა ლიგას, ლა ლიგას, პრემიერლიგას, NBA-ს, დოდი, მოტო სპორტი, ჩოგბურთი და სხვა.

3D 3D ქართული ტელე არხების კატეგორია ხელმისაწვდომია სრულიად უფასოდ, როგორც აპლიკაციაში, ისე ვებ ვერსიაში; ტვ პლატფორ-

მას ნებისმიერ დივისაზე მარტივი ინტერფეისი აქვს. ამავე დროს, აპლიკაცია **Silk Go** თავსებადია სმარტ ტელ ევიზორებისთვისაც (საქართველოს ტერიტორიაზე).

განახლებულ და **MyVideo**-სთან ინტეგრირებულ **SilkGo** აპლიკაციაში, მომხმარებელს დახვდება სამჯერ მეტი არჩევანი, მრავალფეროვანი არხები, მოკლე, საინტერესო ვიდეოები, თემატურად დაყოფილი კონტენტი და სტრიმინგი HD ხარისხში.

მნიშვნელოვანი სიახლეა ვიზიტორებისთვის ისიც, რომ პლატფორმაზე პერსონალური კონტენტის შექმნის შესაძლებლობა არსებობს.